საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

ორგანო

შაგათი, 23 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 75 უოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

„... საქართველო წარმოადგენს თუ არა ერთს ეკონომიურ ორგანიზმს? ამაზე ჩვენ გადაჭრით ვუპასუხებთ: არა, არ წარმოადგენს... საქართველოს ავტონომია სრულიად არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიურ ინტერესებს. პირიქით, ავტონომია თავისი საკუთარი საგაჭრო პოლიტიკით დაარღვევდა უკვე შემუშავებულ ეკონომიურ ცენტრებს, დაწვეტდა ეკონომიურ ძაფებს, განდევნიდა უცხოკაპიტალს, უცხო-ადებ-მიცემობას და ჩაგვაუენებდა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ვიყავით ამ ორმოცი წლის წინეთ. ავტონომია ნიშნავს ეკონომიურ რეაქციას. ავტონომიურ საქართველოში ვერ დაეტევა მისი ნებისმიერი ეროვა-მდგომარეობა, ამიტომ ავტონომია მას შებორკავს და გაფართოებას არ დაანებებს, ის მას სალტეთ შემოევლება და ბორკილათ დაედება. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ტერიტორიის გაფართოება, რაც გამოიწვევს მეზობელ ერებთან მუდმივ შეტაკებას და უკმაყოფილებას. ავტონომია ნიშნავს შოვინიზმის გაღვივებას და პოლიტიკურ რეაქციას“...

ნარიძე (ნ. ყორდანია) „ნაციონალური კითხვა ჩვენში“; 1913 წ.

ეკონომიური კრახი და პროლეტარიატის დიქტატურა.

საქართველო უკვე მიადგა კატასტროფას—განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ ეკონომიურ თათბირზე. საქართველო უკვე მიადგა პროლეტარიატის დიქტატურას—ვიტყვით ჩვენ—და სხვა გამოსავალი მას არ მოეპოება.

ჩვენი წვრილ-ბურჟუაზიული ქვეყანა თავისი მცირე რიცხოვანი პროლეტარიატით და განუვითარებელი მრეწველობით დიდ სიძნელეს ქმნის იმისთვის, რომ მშრომელმა ხალხმა ხელთ აიღოს პოლიტიკური ძალა-უფლება და მთელი მეურნეობა საზოგადოებრივ საფუძველზე მოაწყოს. ეს ფაქტია. მაგრამ ამ ფაქტს ჯიუტათ უვლის გვერდს ისტორია. რომელიც ჩვენს თვალწინ სავსებით აკოტრებს წარმოების კაპიტალისტურ სისტემას იმ მდგომარეობაში, როდესაც მას ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავისი განვითარების მაღალ ფორმებამდი და არ ამოუწურავს მთელი თავისი შესაძლებლობანი. მსგავსათ გადამდები სენისა, რომელიც მოზარდ თაობას უფრო უწყალოთ სთიბავს, ვიდრე ხანში შესულთ, კაპიტალიზმის კრახი თუმცა უფრო დაწინაურებულ ქვეყნებიდან იწყებს თავის გამანადგურებელ მოქმედებას, მაგრამ თავის დასასრულს ჩამორჩენილ ქვეყნებში უფრო ადრე აცხადებს. ის რღვევის პროცესი, რომელიც მთელ ევროპას და ამერიკას მოსდებია, პირველ მსხვერპლებათ იწირავს არა ამ გოლიათებს, არამედ მათ უმცროს ძმებს—ნაკლებათ განვითარებულ და ჩამორჩენილ ერებს.

ნორმალურ პირობებში, თუ საქართველოს განცალკევებულათ ავიღებდით და მის მიერ მიღწეულ სამეურნეო განვითარებას გავშინჯავდით, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა აქ სოციალიზმის დამყარებაზე. მაგრამ ეს ნორმალური პირობები დიდი ხანია გაქრა და მისი ადგილი დაიჭირა „არანორმალურმა პირობებმა“. თვით საქართველოს განცალკევებული არსებობაც ამ საერთო „არანორმალობის“ პირდაპირი შედეგია და იგი მძლავრათ განიცდის მთელ მსოფლიოში წარმოებულ არევდარევის გავლენას. შეიძლება მოულოდნელათ, მაგრამ ამასთანავე ულმობელი აუცილებლობით აქ იქმნება ის მდგომარეობა, რომ, გინდა არ გინდა, უნდა გამოხვიდე არსებულ წყობილებიდან და ხელი ჩაკიდო საზოგადოებრივი არსებობის ისეთ ფორმას, რომელიც უფრო შესაფერი იქნებოდა დაწინაურებულ ქვეყნებისთვის. ისტორიას თავისი ლოგიკა აქვს და ის არაფითარ ანგარიშს არ უწევს ადამიანის პრომეტიურ მსჯელობას შესახებ იმისა, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა ჯერ განვითარებულ ქვეყნებში განხორციელებულიყო სოციალიზმი და შემდეგ ჩამორჩენილებში.

სოციალიზმი დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ის დიდი უბედურების გზით მოდის. ჩვენს ნება სურვილზე რომ ყოფილიყო, ჩვენ, რასაკვირველია, გვერჩიენა ის გამანდგურებელ ომის შემდეგ კი არ წამომდგარიყო პრაქტიკულათ დღიურ წესრიგში, არამედ მოვლენილიყო როგორც შედეგი ქვეყნიერების უაღრესათ განვითარებისა და პროლეტარიატის ხანგრძლივი აღზრდისა და ორგანიზაციულათ შეკავშირებისა. ნაცვლათ ამისა ისტორიამ გაანადგურა მთელი დაგროვილი სიმდიდრე და გუშინ ერთმამეთის მკლეტავ პროლეტარიატს უთხრა: საჩქაროთ გაერთიანდი, შეკავშირდი, შეიგნე საზღაპრო შიმშილ-სიცივით შექმნილი მდგომარეობა და ჩაუყარე საფუძველი ახალ ცოცხალ ცხოვრებასო.

თვით საქართველო წარმოადგენს იმის საუცხოო მაგალითს, რომ ისტორია არ ემორჩილება ადამიანის ნება სურვილებს. მთელი სამი წლის განმავლობაში ყველაფერი იქნა ადამიანის ხელით გაკეთებული იმისთვის, რომ აქ სოციალიზმის საკითხი არ წარმომდგარიყო არა თუ პრაქტიკულათ არამედ თეორეტიულათაც. აქ შეგნებულათ აშენებდენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, შეგნებულათ მფარველობდენ და ნერგავდენ ბურჟუაზიულ წარმოებას, მაგრამ ყოველივე ამან სულ სხვა შედეგი მოიტანა, ვიდრე მშენებლები მოელოდენ. ეკონომიური კრახი—აი ის ულმობელი ფაქტი, რომლის წინაშე დღეს მთელი სახელმწიფო იმყოფება.

რა გამოსავალია აქედან? ძველი გზის გაგრძელებაო—ფიქრობენ ჩვენი ქვეყნის მესვეურნი და მით ცდილობენ მოატყუონ თავის თავიც და სხვებიც. მაგრამ ძველი გზის გაგრძელება შეუძლებელია სწორეთ ამ კრახის მიზეზით. წარმოვიდგინოთ, რომ რაღაც სასწაულით რამდენიმე ხნით მაინც აცილებულ იქნეს კრახი და შესაძლო შეიქნა ძველი გზით სიარული. ეს არ დააყოვნებს ამავე კრახის გამეორებას. ამ დებულების სისწორე ისე აშკარაა, რომ თვით ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ბატონ-პატრონებიც კი გრძნობენ, რომ აუცილებელია რაღაც სხვა არაჩვეულებრივი ზომები და ღონისძიებანი.

გრძნობენ, მაგრამ ვერ ბედავენ იქით ნაბიჯის გადადგმას. ეს რყევა და გაუბედაობა მხოლოთ იმას მოასწავებს, რომ სანამ მათ ძალღონე ეყოფათ, ძველ გზას არ უღალატებენ და ახალ ძალებს მხოლოთ მაშინ ჩამოეცლებიან, როდესაც ქვეყნის ავლა-დიდება ძვლამდი იქნება მიყვანილი და თვით ძვალი გამოსახრავათაც აღარ ეგარგება.

რაც უფრო დიდხანს გასტანს ეს მდგომარეობა, მით უფრო მძიმე პირობებში განხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც ერთათერთი გამოსავალი გზაა შექმნილი მდგომარეობიდან. საქართველოს მშრომელი ხალხი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება ხანმოკლე დარჩეს ეს გარდამავალი მდგომარეობა.

კომუნიზმის ახალი სამეფოეგი

ისტორიის მუდო ჩინებულად მუშაობს. მისი განუწყვეტელი მუშაობის შედეგი დრო გამოშვებით იჩენს თავს ძველი საზოგადოების ამა თუ იმ ბოძის შეზანზარებით, დაქცევით. კონსერვატიზმის მყინვარი ლხობას იწყებს იმ ქვეყნებშიც კი, სადაც რევოლიუციის ბიშან-წყალიც არ სჩანდა ორიოდე წლის წინათ. რევოლიუციის ზენაქარი დაშხუის ახლა იქაც კი, სადაც ახალი ცხოვრების ნიავსაც კი არ გაუქროლია უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში. დედამიწის ყველა კუთხეში გაისმის სანატრელი ყიჟინა აჯანყების გზაზე შემდეგარ პროლეტარიატისა, მას ეხმაურება „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“. გუშინ ჩვენ ვსწერდით, რომ გერმანიის სოციალიზმი და რუსეთის კომუნიზმი უძლეველ ძალად ხდება. გერმანიის დამოუკიდებელი პარტიის და ბალშევიზმის გაერთიანება კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმაზე უფდიდესი, გადამჭრელი მნიშვნელობის საფეხურია მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის განვითარების პროცესში.

ეს პროცესი ამიერიდან შეუჩერებელია, მის ძლევა მოსილ ტალღას ვერ უკუაქცევს მეტოქე ტალღა კონტრ-რევოლიუციის. მოსკოვის და ბერლინის კავშირი გაასკეცებს მსოფლიო რევოლიუციის ძალებს, მის ისედაც დიდ რაოდენობას ეძლეველობის თვისებას მიანიჭებს. ამ კავშირის პირდაპირი, ახლობელი შედეგი იქნება სხვა ქვეყნებშიც რევოლიუციური პროცესის სწრაფი წინსვლა, მისი მტკიცე ფორმებში ჩამოყალიბება, მისი მიზნის სავსებით გამოაშკარავება, წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ბურუსიდან გამოყვანა, ოპორტუნიზმის ტყეობიდან დახსნა.

მაგალითად, საფრანგეთის მუშათა მოძრაობა, რომელიც დღეს უმეტეს ნაწილად ოპორტიუნისტულ სინდიკალიზმის და საპარლამენტო სოციალიზმის ვიწრო ორღობეშია მოქცეული და მოძრაობის ფართო ასპარეზზე ვერ გამოსულა, აუცილებლად დაიძვრის, უმოძრაობას თავს დაახწევს, წინ გაექანება. შეიდემანელების გერმანია, თუმცა მას „სოციალისტური რესპუბლიკის იარლიკი ჰქონდეს მიკრული შუბლზე მაინც საშიშროებას წარმოადგენს საფრანგეთის წვრილ ბურჟუასათვის. სამაგიეროს გადახდის, რევანშის აღების შიში აკანკალებს და მილიერან—კლემანსოს ბანაკს ვერ აშორებს მას და მასთან ერთად საფრანგეთის ზოგ ჩამორჩენილ მუშასაც—შეიდემანის რეჟიმი მათ სამართლიანად მიაჩნიათ ვილგელმის რეჟიმის გაგრძელებად, ცოტაოდენი დემოკრატიული ფერუმარულის წაცხებით. ის გერმანია კი, სადაც კომუნისტური პარტია მარტო პროპაგანდის პარტია კი აღარ იქნება, არამედ დაუყონებლივი რევოლიუციური მოქმედების და ბრძოლის, გაუადვილებს საფრანგეთის სოციალისტების იმ დამფრთხალ ნაწილს,—რომელსაც შერჩენია შეგნება ჩვენი დროის უდიადესი რევოლიუციონური ამოცანებისა, და უნარი მათ მისაღწევად ბრძოლის‘—დარაზმვის და გერმანიის მუშათა კლასთან ერთად ბრძოლას საერთო მტრის გასანადგურებლად.

მაგრამ არის კიდევ ევროპაში ერთი პირველხარისხოვანი კაპიტალისტური ქვეყანა, სადაც კომუნისტური რევოლიუციის პარტია ჯერ კიდევ სუსტია. კ. მარქსმა დიდიხანია მას აქეთ სთქვა, რომ ის ევროპიული რევოლიუცია, რომელშიაც ჩათრეული არ იქნება ინგლისი, ისე გათავდება, რომ უფრო მიემგვანება ჭიქაში ავარდნილ ქარიშხალსო. ეს სიმართლე იყო იმ ხანებისთვის, როცა ინგლისს ხელში ეჭირა თითქმის მთელი ქვეყნიერების ეკონომიური სადავეები, როცა ის უმეტოქოდ გაბატონებული იყო ყველა ზღვებზე. ეს მონოპოლისტური ბატონობა ნებას აძლევდა კონსერვატიულ ინგლისს რევოლიუციას გამკლავებოდა ევროპაში, ერთხელ მან უკვე გაუნაღდა. ევროპის კონტრ-რევოლიუციას ყველა ხარჯები. მაგრამ მე-19 საუკუნის მიწურულში ინგლისის მონოპოლია ეკონომიკა-პოლიტიკაში ისპობა. მისი ცდა—ხელმეორედ გაეჩაღებია კონტრ-რევოლიუცია ევროპაში და ჩეხეთ-საბჭოთა მოძრაობა—დამარცხებით გათავდა. ლოიდ-ჯორჯის ინგლისი არა თუ იძულებულია კონტრ-რევოლიუციის მოთავეობას თავი მიანებოს და საფრანგეთის რეაქციონერებს დაუთმოს სარდლობა და ხარჯების გაღებაც, ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს დღითი-დღე მოზარდ მუშათა მოძრაობას. „მოქმედების კომიტეტები“-ს ახმაურება—ეს ხომ სამგლოვიარო ზარის რეკაა ინგლისის კაპიტალიზმის გათხრილ სამარესთან. ინგლისის რამოდენიმე მილიონ მუშების გაფიცვა—უკვე მესაფლავეების ნიჩბების ამუშავებაა. კომუნისტური აზროვნების დასადგურება ინგლისის პროლეტარიატში და კალონიების აჯანყება—მომასწავებელი იქნება სოციალიზმის გამარჯვების ინგლისშიც.

ადგილოგრივი პრესა.

არა შეჯდა მწყერი ხესა.

ეკონომიური კრახის საკითხი საერთო ყურადღებას იპყრობს. ფედერალისტების „სახ. საქ.“, როგორც რიგი და წესია, ყველაფერში ეთანხმება მენშევიკების მიერ ჯერ გამოუმუშავებელ ზომებს და თითონაც დარდიმანდათ ჩამოდის თავის წვლილს. ამავე დროს მას სრულიათ არ ედარდება,—ეთანხმება თუ არა მის მიერ ნაჩვენები ზომები იმ საერთო გეზს, რომელსაც აპირებს დაადგეს მართველი პარტია. გაზეთის მოწინავე ასეთ დასკვნას იძლევა აღძრულ საკითხის შესახებ:

„მაშასადამე საჭიროა: შრომის ბეგარის შემოღება და ამნაირათ პარაზიტულ ელემენტების ჩაბმა საერთო მუშაობაში. მოსპობა პარაზიტულ კაპიტალისა და სახელმწიფოს მიერ მოწყობა მეურნეობისა. სხვა გზა არ არის. ამ გზაზე ან გავიმარჯვებთ, ან დავიღუპებით. ეს უნდა ახსოვდეს ყველას და ამიტომ მტკიცედ უნდა დავადგეთ სპეკულიაციის ალაგმვის, კაპიტალის წარმოებაში ჩაბმის და მუქთა-ხორების მუშაობაში ჩათრევის გზას და ამ მხრით სწორ-ხაზიანობა, უშიშრობა და ორგანიზატორული ნიჭი უნდა გამოვიჩინოთ. ვიმეორებთ სხვა გზა არ არის. ამას მოითხოვს ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესი და მომავალი ქართველი ერისა, რომელიც კატასტროფას უკვე განიცდის“.

დიდი გამბედაობაა სწორედ ამ თითქმის ბალშევიკური ზომების უხეიროთ გადმოღეჭვა. რაც შეეხება მათ საქმეთ ქცევას, ამაზე, როგორც რიგი და წესია, „სახალხო“ თავს არ შეიწუხებს. ან რა მისი საქმეა: „არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი“.

* * *

პოლიტიკა „სოციალისტებს“, ეკონომიკა ბურჟუაზიას.

იმავე გაზეთში ბ. ლონტი ძლიერ გაუცხარებია საქართველოში გამეფებულ ეკონომიურ პოლიტიკას და გულმოსული აგაშკარავებს საყოველთაოთ ცნობილ ფაქტებს:

„სახელმწიფო ბანკს განაგებს—იასონ ლორთქიფანიძე, წევრი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიისა, ცენტრო-ბანკის მმართველია პაოლენ გოთუა—წევრი იმავე პაოტიისა, ამიერკავკასიის ბანკის თავმჯდომარეც ნიკოლოზ წვერავა—ნაციონალ-დემოკრატი და სხვა. როგორც გვირგვინი ყოველივე ამისა საგაჭრო დარგი სამინისტროში ჩაბარებული აქვს ჩვენი ბურჟუაზიის ტიპიურ წარმომადგენელს, ნაციონალ-დემოკრატს ეპ. ალშიბაიას, აი ბატონებო ვის ხელშია მთელი ჩვენი საბანკო და საგაჭრო აპარატი საქართველოში და ვინ არიან ნამდვილი ბატონები და პატრონები ჩვენი ეკონომიკის“.

სრულიათ ბუნებრივია, ბ. ლონტო, რომ იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკას თქვენისთანა სოციალისტები განაგებენ, ეკონომიკა მთლათ ბურჟუაზიას უნდა ეპყროს ხელთ.

* * *

წახვალ—ინანებ, არ წახვალ—მაინც ინანებ.

იმ გზით სიარულმა, რომელსაც აქამდე მენშევიკები ადგენ, საქართველო ეკონომიურ კატასტროფამდე მიიყვანა. ამას დღეს ველარ უარყოფენ თვით მენშევიკები, რომლებიც თაობირებს აწყობენ და ახალი გზების ძებნაში არიან. ისინი დგანან ორ შესაძლებლობის წინაშე: ან ბურჟუაზიის ან პროლეტარიატის დიქტატურა, შესამე გზა კი არ არის. მენშევიკები დგანან ამ ორი გზის წინ და ისტორიისგან განწირულნი უიმედოთ ბუტბუტებენ: ერთი გზით წავალ — ვინანებ, შეორე გზით წავალ—მაინც ვინანებო. ამიტომ ისინი ისევ მესამე გზას ეძებენ და თან მარქსს იმოწმებენ იმის დასამტკიცებლათ, რომ მესამე გზა მუდამ არსებობდა და ახლაც არ შეიძლება არ არსებობდესო. გზათა „ერთობა“ გზების ძებნაში ისევ შორს ტოპავს, რომ საძებარი საგანი სულ ავიწყდება და „ფილოსოფიური„ მოსაზრებებით ირთობს თავს. ის ერთიგივეობის ნიშანს უსვამს ჩემსა და ქართველ ბურჟუაზიას შუა ალბათ იმ ემპირიული მოვლენის მიხედვით, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლევა რუსეთის სინამდვილე, სადაც, უნდა ვიფიქროთ, ბალშევიზმის გვერდით ბურჟუაზიაც განცხრომით ცხოვრობს ვალაპარაკოთ თითონ „ერთობა“

„პირველი შეხედვით, რა უნდა იყოს საერთო „საქართველოსა“ და „კომუნისტის“ შორის? მაგრამ რომ ჩავიხედოთ მათი იდეოლოგიის ბუნებაში, დავინახავთ, რომ ეს ერთი — მეორის მოპირდაპირე ნაკადი ერთი იდეური სათავიდან გამომდინარერეობენ. კომუნისტების „მომხმარებელი სოციალიზმი“, რომელიც არსებული სიმდიდრის დანაწილებაზეა დამყარებული ისევე ინდივიდუალისტურ პრინციპზეა აგებული, როგორც მეშჩანური საზოგადოება, რომლის იდეოლოგიაც „საქართველოა“. ამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ბალშევიკური მეთოდის საბოლოო ნაყოფიც იმავე წვრილ ბურჟუაზიული საზოგადოების განმტკიცება იქნება“.

ასეთ აბდა-უბდას ალაპარაკებს „ერთობას“ მისი გაჭირვებული მდგომარეობა. ვერაფრით ვანუგეშებთ, რადგან აქ საქმე გვაქვს მის ორგანიულ ავადმყოფობასთან, რომელსაც ვერ იხსნის ვერც მისი შიში და ვერც მისი დაღრეჯილობა.

ინტერნაციონალის გარშემო

მე-III ინტერნიციონალი და გერმანიის, ავსტრიის და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიები

კომინტერნის აღმოსკომმა 26 აგვისტოს მიმართა ღია წერილით გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ყველა წევრებს. წერილში ავტორები უთითებენ იმაზე, რომ დელეგატებმა მიუხედავათ მათ დამფუძნებელ პარტეიტაგზე გამოტანილ რეზოლიუციისა, განაცხადეს, რომ მათი პარტიის დეკლარაცია კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის შესახებ უნდა ჩაითვალოს უკან წაღებულათ. დელეგატების ასეთი ყოფა-ქცევა აიხსნება იმით, რომ ვერ ბედავენ და ეშინიათ გამოვიდენ მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ პროლეტარიატის წარმომაგენლების წინაშე და თავი იმართლონ გერმანიის რევოლიუციის გასაჭირ წუთში არევდარევის და გერმანელ კომუნისტების რიგში რღვევის შეტანისათვის.

წერილში შემდეგ ნათქვამია, რომ გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის ბელადები ყველაფერს შვებიან, რათა გაზარდონ უფსკრული გერმანელ კომუნისტებსა და კომუნისტურ ინტერნაციონალში გაერთიანებულ მსოფლიო პროლეტარიატის შორის.

„ამხანაგებო! — ათავებს კომინტერნის აღმოსკომი, — ჩვენ გთხოვთ თქვენ კეთილ სინდისიერათ შეისწავლოთ კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის მიერ ერთხმათ მიღებული თეზისები ყველა კითხვების შესახებ, და გადასწყვიტოთ, გაჰყვებით თუ არა თქვენ თქვენს ბელადებს კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ ან გვერდის „არეებით“, თუ კომუნისტური ინტერვაციონალის რეზოლიუციების ნებაყოფლობითი აღიარების შემდეგ შემოხვალთ რევოლიუციონურ პროლეტარიატის რიგებში“.

წერილი თავდება მიმართვით ხელ-ახლა გამოგზავნონ გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის წარმომადგენლები, მაგრამ ამ შემთხვევაში უბრალო მუშები, რათა ერთათ გავარჩიოთ მე-2 კონგრესზე მიღებულ რეზოლიუციების სწორი აზრი ვინაიდან ურთიერთი გაუგებრობასაც ალაგი აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ყალბია გერმანელ კომუნისტების შეხედულობა მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან ტაქტიკურ კითხვებზე.

ამავე 26 აგვისტოს კომინტერნის აღ მოსკომმა მიმართა წერილით გერმანულ ავსტრიის კომუნისტურ პარტიის პრეზიდიუმს და ყველა წევრებს იმისთვის, რომ მიეცა ამ პარტიისათვის განსაზღვრული დირექტივები საარჩევნო კომპანიისთვის. ხაზს უსვამს რა იმას, რომ პარლამენტარიზმი, როგორც სახელმწიფო სისტემა, წარმოადგენს ბურჟუაზიის მიერ შექმნილ იარაღს პროლეტარიატის დასამონავებლათ, აღმასრულებელი კომიტეტი მაინც აძლევს წინადადებას ავსტრიის კომუნისტებს ენერგიული მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, მხოლოთ ისე, რომ ეს მონაწილეობის მიღება მიმართული უნდა იყოს არა პარლამენტარიზმის მხარის დაჭერისაკენ არამედ მის მოსპობისაკენ. სწორეთ ამაში მდგომარეობს პარლამენტარიზმის რევოლიუციონური გამოყენება.

ამას გარდა, ავსტრიის პოლიტიკური სიტუაცია უსათუოდ მოითხოვს ამ რევოლიუციონურ გამოყენებას. აუცილებელია, რომ არა მარტო მუშათა საბჭოები იცავდენ თავიანთ უფლებებს ფრთხილად და ფხიზლად ცდილობდენ მათ გაფართოვებას, არამედ რომ მუშათა საბჭოების ჩაკვლის ყოველი ცდაც პარლამენტარული გზით იქვე, ადგილზე, ე. ი. პარლამენტში, გამოაშკარავებულ და დამსხვრეულ უნდა იქმნეს. საარჩევნო ბრძოლა ხელს შეუწყობს აგრეთვე მშრომელ ხალხის, განსაკუთრებით სოფლის ინდიფერენტულ წრეების გარევოლიუციონერებას.

მესამე წერილში ჩეხო სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიის მარქსისტულ მემარცხენეს და ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტურ ჯგუფების მიმართ, აღმასრულებელი კომიტეტი სიხარულით ესალმება იმ ფაქტს, რომ ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატი სულ უფრო და უფრო ითვისებს რევოლიუციონურ კლასიურ ბრძოლის მეთოდებს, რომ მარქსისტული მემარცხენე ფრთა ისწრაფვის გასწიოს მე-3 ინტერნაციონალის პრინციპების პროპაგანდა სოციალ დემოკრატიულ პროლეტარიატის რიგებში. შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტი გამოსთქვამს იმედს, რომ მარქსისტული მემარცხენე ყოველ ძალღონეს იხმარს, რომ დააყენოს მუშათა მოძრაობა ჩეხო-სლოვაკიაში მეორე კონგრესის მიერ მოწონებულ თეზისების პლატფორმაზე.

განსაკუთრებული სიხარულით აღნიშნავს ცნობებს აღმასრულებელი კომიტეტი ჩეხო-სლოვაკიაში რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობის სწრაფი განვითარების გამო, რომელიც თანდათან თავისუფლდება ნაციონალისტურ - ოპორტიუნისტულ პოლიტიკის ქსელებისაგან და დგება უკომპრომისო რევოლიუციონურ კლასიურ ტაქტიკის თვალსაზრისზე.

გიულეტენი პრესგიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

ჩვენი ამოცანა.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. „იზვესტია“ სწერს:

„მილიერანი და ჩერჩილი აშკარათ ცდილობენ უკანასკნელი კვირეები გამოიყენონ, რათა ერთხელ კიდევ სცადონ პოლონეთთან წინასწარი ზავის რატიფიკაციის ჩაფუშვა და ხელი შეუშალონ წითელ არმიას მისი მისსიის შესრულებაში; წითელი ჯარის მიზანია შემუსროს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების დაქირავებული უმსგავსო ბანდები და მით გზა გაუკაფოს ქვეყნის მეურნეობრივ და კულტურულ განვითარებას.

ეს საზღვარ-გარეთული გაზეთების კამპანიის კავშირი ერთ ჰერქვეშ მომუშავე რეაქციონერებთან მტკიცდება რ. რ. ს. კ. დაჭერილი ცნობებით, რომლებიც აღმოაჩნდათ ვრანგელის, სავინკოვის და სხვების აგენტებს. საზღვარ-გარეთელი ბურჟუაზიის ფანტასტიური ცნობები, რომლებიც ხელთ აქვს საბჭოთა მთავრობის ორგანოებს, წარმოადგენენ წინასწარ მეტყველობას და ტერორისტური აქტების გეგმებს, რომლებიც საარაკო ენერგიით პარიჟის დიპლომატიური კანცელარიებში, ევროპის, ამერიკის და ვრანგელის შტაბის არისტოკრატიულ სალონებში და სავინკოვის და ჩერნოვის კონსპერატიულ ბინებში კეთდება.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც ბუმბერაზ მტრებისგან იცავს მთელი მშრომელი ხალხის უუდიდეს ინტერესებს, მზაა, არის ხმლით ხელში შეხვდეს კონტრ-რევოლიუციონერების დაქირავებულებს და პროვოკატორებს. საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს მთელი საბჭოთა სამოქალაქო და სამხედრო ორგანოებს უუდიდეს სიფრთხილისაკენ. დაუშვებელია ერთი საათით შეფერხდეს ზურგში წითელ არმიისათვის სასარგებლო მუშაობა.

წითელმა ჯარებმა მტკიცე, სოლიდარული, სოციალისტური ზურგის იმედით და დახმარებით სამხრეთში უნდა შეასრულოს თავისი მისია — სამხრეთის გაწმენდა. მუშურ-გლეხურმა რუსეთმა საზამთროთ უნდა გაინთავისუფლოს თავი, რათა შეებრძოლოს სიმშილს, და სნეულებას.

საბჭოთა ზურგის ლოზუნგი შემდეგი უნდა იქნეს: „სიფრთხილე, შრომა!“

მინერალური სათბობ მასალის შემოტანა.

პეტერბურგი, 17 ოქტომბერი. პირველ მაისიდან 1 ოქტომბრამდის პეტერბურგში შემოიტანეს 2,468,000 ფუთი ნახშირი; 1,171,000 ფუთი სათბობი სითხე ნახშირი ყველაზე უფრო ბევრი დონის ოლქიდან შემოიტანეს, სახელდობრ 1,632,000 ფუთი. ამავე ოლქიდან მაზუთი და ნავთი შემოიტანეს პეტერბურგში 806,000 ფუთი.

ელექტრონით მოწყობილი სოფელი სამაგალითოთ.

პეტერბურგი, 10 ოქტომბერი. პეტერბურგში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროტექნიკური სექცია აწყობს გამოფენას, სადაც აჩვენებენ ელექტრონით მოწყობილ სოფელს. სოფელში მოწყობილია სახლების განათება; ელექტრონით მოძრაობაში მოჰვავთ სასოფლო-სამეურნეო იარაღები, შეშის სახერხი მანქანები და სხვა.

კომუნისტური ლეგენდები.

სამსუნი, 10 ოქტომბერი. გაზ. „ხილალმა“ კომუნისტურ თემაზე ლეგენდების ბეჭდა დაიწყო, რომელშიაც კომუნისტურ მოძღვებას აცნობს მკითხველებს.

ოსმალეთის პრესა ქემალისტების შეტევის შესახებ.

ტრაპიზონი. 10 ოქტ. ოსმალური გაზ. „იკბალი“ სწერს: „დაშნაკელების განუწყვეტელმა ვერაგულმა თავდასხმებმა ჩვენს სანაპირო სოფლებზე ჩვენ გვაიძულა იარაღი აგვეღო ხელში სომხეთის წინააღმდეგ, რათა სამაგალითოთ დაესაჯოს იგი.

ყოველმა ცდამ, რომლითაც გვინდოდა ჩამოგვეგდო ჩვენსა და მათ შორის კეთილმეზობლური განწყობილება, უშედეგოთ ჩაიარა.

ჩვენ გავილაშქრეთ მათ წინააღმდეგ ჯარებით, რათა ბოლო მოგვეღო ძმათა შორის სისხლის ღვრისათვის და ავაზაკობისათვის. ორი დღის განმავლობაში ჩვენ მტერი საგრძნობლა დავამარცხეთ. ჩვენ შესაფერად უნდა დავამარცხოთ მტერი ვერაგობისთვის და ფლიდობისთვის.

ამაოდ ამყარებს სომხეთი ანტანტაზე იმედებს. რამდენად უფრო დიუახლოვდება სომხეთი ანტანტის იმპერიალისტებს, მით უფრო სანანებელი იქნება მისთვის.

სომხეთის ჯარები ომზე უარს აცხადებენ და ყოველ ჩვენს შეხვედრაზე იარაღს ჰყრიან.

შავი ზღვის პირების დაცვა.

სტამბოლი, 5 ოქტომბერი. მუსტაფა ქემალმა ალი ფაუდუს უბრძანა, რომ მან მიიღოს ყოველგვარი ზომები შავი ზღვის ნაპირების დასაცავათ.

საკატორღო სამუშაო.

სტამბოლი, 10 ოქტომბერი. განიხილეს რა გაზ. „ილლერის“ რედაქტორის სამი ზადე სურეპა ბეის საქმე, მას დასწამეს ნაციონალისტობა და სამხედრო სასამართლომ მას ერთი წლის კატორღა მიუსაჯა.

აიდინის ვილაეტი.

სტამბოლი, 10 ოქტომბერი. ნაზელ აიდინის ვილაეტის მთავარ ქალაქათ გამოაცხადეს. იქ გაგზავნეს ამჟამათ პარიჟში მყოფი, იერუსალიმის ყოფილი გუბერნატორი მაჯიდ-ბეი.

პორტის (ოსმალეთი) მისწრაფება

ბათუმი, 10 ოქტომბერი. სევასტაპოლის გაზ. „რუსეთის განთიადი“ სწერს: „ავტორიტეტულ წრეებში ამბობენ, რომ პორტა განზრახ აჭიანურებს პროკლამაციების გავრცელებით ანატოლიაში დროს, რათა ნაციონალისტების სახით მაინც შეანარჩუნოს ოსმალეთს 50 ათასი ჯარი, რომ ანატოლია ქემალისტებისაგან განთავისუფლდეს, მაშინ თანახმათ საზავო ხელშეკრულობისა ოსმალეთმა უნდა იყოლიოს მხოლოდ 15 ათასი ჯარისკაცი. ამიტომ, ფიქრობენ პორტას ავტორიტეტული წრეები, სომხებს დებრძნებს საშვალება ექნებათ, რაც უნდათ ის მოიმოქმედონ ანატოლიაშიო.

საბერძნეთის სოციალისტური პარტიის მანიფესტაცია არჩევნების წინათ.

სტამბოლი, 10 ოქტომბერი „პოლიტია აფინონი“ შემდეგს იუწყება:

„კომუნისტების მანიფესტაციები არჩევნების წინ ათინაში ისეთი ჩამაფიქრებელი და დიდი იყო, რომ მოლოდიხს აცილდა.

მანიფესტაცია საღამოს 4 საათზე დაიწყეს; 5 საათზე ქალაქის შუა ქუჩები ხალხით ავსებული იყო. ისმოდა განუწყვეტლათ: „ძირს ტირანები“.

სოციალისტური პარტიის შენობის წინ და „იზოლოხიტების“ პლაცზე ტრამვაის, ელექტრო-ტეხნიკების, მეტალისტების, ასოთ ამწყობების, ბონდარების და სხვა პროფესიონალურ კავშირების წევრებმა თავი შეიყარეს წითელი დროშებით, რომლებზედაც ეწერა: „ძირს კაპიტალისტები“, ძირს მილიტარისტები, იმპერიალისტები, ეკსპლოატატორები, — „გაუმარჯოს სოციალიზმს“, „გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას“, „გაუმარჯოს საბჭოებს“, „გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას“,

---

კაპიტალისტური ქვეყნიერება და კომუნისტური ინტერნაციონალი

(მანიფესტი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის)

(გაგრძელება იხ. № 74)

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ხელმძღვანელი ზედა სართული, რომელიც დღეს უარჰოფს ბიუჯეტს და ვერსალის ხელშეკრულებას, არსებითად ბურჟუაზიული რესპუბლიკის ერთ-ერთ ბურჯათ რჩება ახლაც. მისი ოპოზიციონური ხელის მოქნევა მარტო იმას ისახავს მიზნად, რომ დრო გამოშვებით ხელახლა აღიდგინოს სანახევრო ნდობა პროლეტარიატის უკიდურეს კონსერვატიულ წრეების.

კლასიური ბრძოლის ძირითად საკითხებში საფრანგეთის პარლამენტარული სოციალიზმი უწინდელათ ხრწნის მუშათა კლასის ნებისყოფას, აგონებს რა მას, რომ ახლანდელი მომენტი ხელსაყელი არაა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ვინაიდან საფრანგეთი ძლიერ განადგურებულია, ისე როგორც გუშინდელი დღე არ იყო ხელსაყრელი ომის გამო, და როგორც ომის წინა ხანებში ხელის შემშლელი იყო მრეწველების აყვავება, ხოლო მის ადრე კი — მრეწველობის კრიზისი. საპარლამენტო სოციალიზმის გვერდით — და იმავე სიმაღლეზე — იღწვის მოლაყბე, მატყუარა სინდიკალიზმი ჟუოს და მისი თანამოძმეთა ფირმის.

საფრანგეთის პროლეტარიატისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხს წარმოადგენს შექმნა მტკიცე, ერთსულოვნობით ტ დისციპლინით შედუღებულ. კომუნისტური ბარტიის.

გაფიცვებზე და აჯანყებებზე ღებულობს აღზრდას და ფოლადდება ნემეცმუშების ახალი თაობა. თავის გამოცდილებას ის ყიდულობს მით უფრო მეტი მსხვერპლის გაღებით, რაც უფრო დიდი ხნით გრძელდება დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიაში გავლენა სოციალ-დემოკრატიულ კონსერვატორთა და რუტინიორთა, რომლებიც უკან იცქირებიან, ბებელის თანადროულ სოციალ-დემოკრატიისაკენ, ვერ შეუგნიათ აწინდელი რევოლიუციონური ეპოქის ხასიათი, გვერდს უვლიან სამოქალაქო ომს და რევოლიუციურ ტერორს, ისტორიული ამბების კუდში მიჩანჩალობენ და სწამთ სასწაული, რომელმაც უნდა დეხმაროს მათ უნიადაგობას.

როზა ლიუქსენბურგის და კარლ ლიბკნეხტის პარტია ბრძოლის ალში ასწავლის გერმანელ მუშებს ჭერმარიტი გზის გამონახვას.

ინგლისის მუშათა მოძრაობის ზედაფენებს ისეთი უმოძრაობა დასჩემებიათ, რომ იქ ჯერაც არ უგრძვნიათ იარაღის შეცვლის საჭიროება: დიდი ბრიტანეთის მუშათა პარტიის ბელად დაჟინებით ცდილობენ მეორე ინტერნაციონალის ჩარჩოებში ჩარჩენას.

იმ დროს, როდესაც მოვლენათა განვითარებამ უკანასკნელ წლებში დაარღვია კონსერვატიული ინგლისის ეკონომიური ცხოვრების წონასწორობა და ისე გადაახალისა მისი მშრომელი მასსები, რომ რევოლიუციონური პროგრამის მიღება მათთვის არავითარ სიძნელეს აღარ შეიცავს, — ამ დროს ნაციის ბურჟუაზიული მანქანა: შეფის ძალაუფლება, ლორდების პალატა, თემთა პალატა, ეკლესია, ტრედუნიონები, მუშათა პარტია — გეორგ მეხუთე, კენტენბერის ეპისკოპოსი და ხენდერსონი — ხელუხლებელი რჩებიან, როგორც მძლავრი ავტომატიური დაბრკოლება (ტორმუზი) განვითარებისა. ამ ოფიციალურ ზედაფენების მიმართ პროლეტარული ქვედაფენების დაპირდაპირება შეუძლია მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელიც თავისუფალია რუტინისა და სექტანტობისაგან და მჭიდროდ დაკავშირებულია მასსიურ ორგანიზაციებთან.

იტალიაში, სადაც თვით ბურჟუაზია აშკარათ აღიარებს, რომ ქვეყნის მომავალი ბედის კლიტე სოციალისტურ პარტიის ხელშია, მგმარჯვენე ფრთის პოლიტიკა, რომელსაც მოთავეობს ტურატი, ყოველი ღონით ცდილობს პროლეტარიატის მძლავრათ ამოძრავებული რევოლიუცია მოაქციოს საპარლამენტო რეფორმების კალაპოტში. ეს შინაური საბოტაჟი ამ ჟამათ უდიდესი საფრთხის შომასწავებელია.

პროლეტარებო იტალიისა! გახსოვდეთ ვენგრიის მაგალითი, რომელმაც ისტორიაში დაისადგურა და რომელმაც მრისხანეთ უნდა მოაგონოს ყველას, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში და მის ხელში ჩაგდების შემდეგაც პროლეტარიატი მტკიცედ უნდა იდგეს თავის პოზიციაზე, შორს უნდა გადისროლოს მერყევი, გაუბედავი ელემენტები და დაუზოგველათ გაუსწორდეს ყველა მოღალატეებს.

ომის ქუხილი, რომელმაც ღრმა ეკონომიური კრიზისი დასტოვა, შეერთებულ შტატების, ისე ამერიკის ხმელეთის დანარჩენ ქვეყნების მუშათა მოძრაობაში ახალ ფურცელს შლის. ვილსონიზმის ბალი-ბუქობის და სიცრუის ლიკვიდაცია იმავე დროს ლიკვიდაციაა იმ ამერიკულ სოციალიზმისა, რომელიც წარმოადგენს ნარევს პაციფისტურ ილიუზიებისას ბაზრულ საქმიანობასთან, და წყნარი დამატებაა მარცხნიდან გომპერსის და კამპ. ტრედ უნიონიზმის. უმჭიდროესი შეკავშირება რევოლიუციონურ პროლეტარულ პარტიების და ორგანიზაციების ამერიკის ხმელეთზე ინტერნაციონალის ამერიკელ მტკიცე სექციაში, რომელიც წინააღუდგება უძღიერეს მტერს. შეერთებულ შტატების იმპერიალიზმს — აი მიზანი, რომელიც უნდა განხორციელდეს, და კიდეც განხორციელდება ბრძოლაში ყველა იმ ძალების წინააღმდეგ, რომლების მობილიზაცია მოახდინა დოლლარმა თავის დასაცავად.

მთავრობაში მონაწილე, და მთავრობაში სანახევროდ მონაწილე სხვა და სხვა ქვეყნის სოციალისტებს ბლომათ ქონდათ საბაბი ბრალი დაედოთ კომუნისტებისათვის იმაში, რომ თავისი შეურიგებელი ტაქტიკით ისინი პროვოკაციულად იწვევენ კონტრ-რევოლიუციას, უადვილებენ რა მას დარაზმვას. ასეთი პოლიტიკური ბრალდება მხოლოდ დაგვიანებული გადაღეჭვაა ლიბერალების ჩივილის. სწორედ ლიბერალიზმი ამტკიცებდა, რომ პროლეტარიატის დამოუკიდებელი ბრძოლა მქონებელ კლასებს რეაქციის ბანაკისაკენ მიერეკებაო. ეს უდაოა. მუშათა კლასი რომ არ ემუქრებოდეს ბურჟუაზიის ბატონობის საფუძველს, ბურჟუაზიას არ დასჭირდებოდა რეპრესიები. თვით ცნება — კონტრ-რევოლიუცია — არც იქნებოდა, ისტორია რო არ იცნობდეს რევოლიუციას. თუ რომ პროლეტარიატის აჯანყება აუცილებლად იწვევს ბურჟუაზიის მჭიდრო შეკავშირებას თავდასაცავად და კონტრ-შეტევის საწარმოებლად, ეს ფაქტი მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ რევოლიუცია ორი შეურიგებელი კლასის ბრძოლაა, რომელიც შეიძლება გათავდეს მხოლოდ ერთი მათგანის გამარჯვებით.

(დასასრული შემდეგ №-ში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გაუმარჯოს ლენინს“, „გაუმარჯოს ...ამგალს და ჩაქუჩს“ და სხვა.

...საღ. 6 საათზე ათინის მანიფესტანტებს პარეის მუშების მანიფესტანტებიც ...ეუერთდა. აუწერელი აღფრთოვანება, მთელი ზღვა დროშების და პლაკატების. ორკესტრი და გუნდები „ინტერნაციონალს“ მღეროდენ.

ყოველ მხრივ გაისმოდა ყიჟინა: „გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას“, „გაუმარჯოს სოციალიზმს“, „ძირს ...ირანები“.

რამოდენიმე ხულიგანი და ვენიზელოს მომხრეები შეეცადენ კეტებით მანიფესტანტების გარეკას. პოლიციამაც ...აპირა წინააღმდეგობის გაწევა. შეტაკების დროს რამოდენიმე კაცი დაშავდა. წესრიგი მალე აღდგენილ იქნა.

მანიფესტანტებს სიტყვით მიმართავს ...ელექტროტექნიკი პაპანიკოლაია, რომელიც დაწვრილებით აღნუსხავს სოციალისტურ პარტიის ბრძოლის ისტორიას? ...ი აღნიშნავს, რო სოციალისტური პარ...ია იბრძვის არა მარტო მუშების და ...ლეხების ინტერესებისათვის, არამედ ...ინტელიგენციის სასარგებლოთაც. ამიტომ არჩევნებში სოციალისტების წარ...მადგენლებს უნდა დაუჭირონ მხარი ...ინტელიგენციამაც. მის შემდეგ ილაპარაკა სოციალისტურ პარტიის წარმოადგენლებმა პანანასტასიუმ სოციალისტურ პარტიის მიზანზე და დანიშნულებაზე.

„ჩვენი პარტიის მთავარი დევიზია—ამბობს ორატორი—„ძირს ომი“, „ომი, რომელიც ამერიკის და ევროპის იმპერიალისტებმა მოგვახვიეს“.

„ძირს ომი“, „ძირს იმპერიალისტები“ ...ასტაუბდა ორატორებს უთვალავი ხალხის გრგვა.

პაპანასაუ, რომელიც ოვაციებით დაჯილდოვეს, აღნიშნავს, რომ ხალხი მიეწევს მიწების და მრეწველობის ნაციონალიზაციას და მალე მშვიდობიანობა ...ამყარდებაო.

სამაგალითო წესრიგით მანიფესტანტებმა მოიარეს მთავარი ქუჩები და ...საათზე სოციალისტური პარტიის შენობის წინ შედგნენ.

აქ სიტყვით გამოვიდა გიორგიადისი, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება ...ვერაგობაა, დანაშაულობა და წარუ...ელი დაღი საბერძნეთის მეოცე საუ...ნის ისტორიაში. „ძირს ბურჟუაზიის ...ალიები“, „ძირს ტირანები“, „ძირს ...ისხლის ღვრა და ომი“, ამ ლოზუნგებს ...ეორებდა ხალხი.

...უკანასკნელათ ილაპარაკა მუშების ...ა...ადგენელმა სიდერისმა: მან აღნიშნა, რომ საბერძ. სოც. პარტიის საბოლოო მიზანია—საბერძნეთში საბჭოთა ...ალაუფლების შემოღება. ინტერნაციონალის სიმღერით და ძახილით: „გაუმარჯოს საბჭოთა ძალაუფლებას, გაუმარჯოს ბალშევიკურ აჯანყებას“, მანიფესტანტები დაიშალნენ.

შავი ჭირი.

ბათუმი, ოქტომბერი. სევასტოპოლიდან იუწყებიან, რომ იქ შავი ჭირით ...ვთგამხდარა 8 კაცი.

...ამაგირები ნატურით.

ბათუმი, 2 ოქტომბერი. ყირიმიდან ...ცნობები მოვიდა რომ, მოსამსახურეებს ...ამგირების ფულის მაგიერ ნატურით ...ძლევენ —

„პროზოდეჟდის“ მოქმედება.

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების ...ენტრალურ საბჭოს „პროზოდეჟდებმა“ ...აამზადეს მუშებისათვის 70 მილიონი ...არშინი ფართალი, 300 ათასი წყვილი ...ტყავის ფეხსაცმელები, ერთ მილიონზე ...ეტი ხელთათმანები, 150 ათას ფუთზე ...ეტი საპონი და სხვა ნივთები. ამ დამზადებულ ნივთების 60—70 პროც. უკვე ...ადარიგებულია მუშებს და მოსამსახურეებს შორის.

1920—1921 წლებისთვის კომისიამ გადასცა „პროზოდეჟდებს“ დამატებით 30 მილიონი არშინი ფართალი.

საბერძნეთის გემები.

ბათუმი, 15 ოქტომბერი. ათინიდან ...ტყობინებიან, რომ საბერძნეთს გადაწყვეტია ძველი სამხედრო გემები გაყიდოს და ახალი შეიძინოს, რადგან ...ისთვის აუცილებელი საჭიროა ძლიერი სამხედრო ძალების ყოლა. საბერძნეთს განზრახვა აქვს შეიძინოს 8 ჯავშნოსანი გემი და მრავალი კრეისერი და ნაღმოსანი.

ყირიმიდან გააქვთ.

ბათომი, 15 ოქტომბერი. ყირიმის გაზეთების ცნობით, უცხოელები ყირიმში ყიდულობენ საზღვარ გარეთ გასატანათ ყოველ გვარ ძვირფას ტეხეიკურ მასალებს, სხვა და სხვა აპარატებს და მის ნაწილებს, კინემო-მანქანებს და სხვა. უცხოეთის საქმიანი ხალხი ამაში იხდის ვალიუტას. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენთან ყოველივე იაფათაა და ისინი მზათ არიან ორმაგი ფასი მისცენ ამ ძვირფას საგნებში. ამ ტეხნიკურ საქონლების გაზიდვა ყირიმიდან მას უმზადებს სიღატაკეს.

ყირიმში ატუსაღებენ

ბათუმი, 15 ოქტ. ყირიმში ხშირათ აპატიმრებენ კოოპერატორებს. როგორც „ნაშ პუტ“ იტყობინება ამის გამო კოოპერატორებს გადაუწყვეტიათ მთავრობას წარუდგინონ დაწვრილებითი მემორანდუმი, რომელშიც ახსნილ-განმარტებული იქნება ადგილობრივი და სრულიად რუსეთის კოოპერატივების ხასიათი და წყობა. აუცილებლათ სცვნეს პროტესტი განაცხადონ იმის გამო, რომ ზოგ კოოპერატივების მოღვაწეებს ბალშევიკობა შესწამეს.

ხარდინგი საგარეო პოლიტიკის შესახებ.

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. ლონდონის ცნობით ამერიკის პეზიდენტათ რესპუბლიკანელების მიერ წამოყენებული კანდიდატი ხარდინგი შემდეგს ამბობს: ყოველმა ერმა თვითვე დამოუკიდებლათ უნდა გადასწყვიტოს თავისიეკონომიური ამოცანა. გადასახადების სისტემა ხელს შეუწყობს ამერიკულ საქონლის ამერიკელ ბაზარზე გასაღების საქმეს. ჩვენ თუ დავბეგრეთ ჩვენი საკუთარი წარმოება, ამით ჩვენ დავაუძლურებთ ჩვენს ძალას. რაც შეხება ჩვენს დამოუკიდებლობას რუსეთთან ის ასეთია: ჩვენ რესპუბლიკანური იმ აზრისა ვართ, რომ რუსეთმა თვით უნდა გამოარკვიოს თავისი ბედი. თუ რომ რუსეთის ხალხი ფიქრობს, რო მას შეუძლია გააქარწყლოს ომის და ცივილიზაციის გაკვეთილები, დეე ეს სცადოს მათ. ამერიკა არავითარ კავშირს არ დაიკავებს რუსეთთან მანამდის, სანამ რუსეთის მთავრობა არ დაამტკიცებს თავის სიმტკიცეს და არ იცნობს საერთაშორისო უფლებებს“. მანდატების შესახებ ხორდინგმა შემდეგი განაცხადა:

„ამერიკას სხვა ხალხებზე არავითარი მანდატი არ სურსო“.

„მოქმედების კომიტეტი“ და საბჭოთა რუსეთი.

მოსკოვი. 21 ოქტ. „მოქმედების კომიტეტმა“ მოწოდება გამოუშვა, რომელიც აღნიშნავს, რომ რუსეთთან ვაჭრობის განახლება ბოლოს მოუღებს სიძვირეს, უმუშევრობას და შექმნის პირობებს, რომლის საშუალებით ინგლისსქ და რუსეთს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდება. „მოქმედების საბჭომ“ განაცხადა, რომ იგი, სანამ რუსეთთან ზავს არ შეკრავს ყველა, არ დაიშლება.

ზედმეტი მუშაობის ნაყოფი.

მოსკოვი, 21 ოქტ. 12 ოქტომბერს პსკოვში კომუნისტებმა და უპარტიოებმა შეაკეთეს ორთქლმავლები და სამუშაოთ გამოუშვეს.

სასურსათო ფრონტი.

მოსკოვი, 21 ოქტ. გომელში სასურსათო კამპანია დიდი უნარით ტარდება. მთელს გუბერნიაში 10 დღის განმავლობაში დააგროვეს 320 ათასი ფუთი კარტოფილი და ერთი-ნახევარი მილიონი ფუთი თივა.

ტამბოვის გუბერნიაში დაამზადეს 2 მილიონზე მეტი ფუთი პური. კარტოფილის დაგროვებაც დიდი წარმატებით მიდის.

ნემსით და ძაფით.

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. მაგილევიდან იუწყებიან, რომ იქ ამხ. ტროცკის მოწოდებამ დიდი აღფროვანება გამოიწვია მკერავთა შორის. ყველა ცდილობს რაც შეიძლება მეტი ტანისამოსი დაამზადოს წითელი არმიისათვის.

კურსკში ხელით მკერავთა სამრეწველოში შემოიღეს ყოველ კვირაში „კვირეული“ წითელ არმიის სასარგებლოთ.

რუსეთის გაყიდვა.

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. საფრანგეთის ოცმა კაპიტალისტმა სამხრეთ რუსეთში რამდენიმე შაქრის ქარხანა შეიძინა.

ოსმალეთის სამხედრო ცნობები.

28 სექტემბერი.

დასავლეთის ფრონტი

ბრუსსის, აღმოსავლეთით ჩვენს მზევრავებს მტერმა, ზარბასნები დაუშინა. ჩვენმა ნაწილებმა 26—27 სექტემბერს სერაი-კეის ჩრდილოეთით მტერს თავს დაესხენ და დიდი ზიანი მიაყენეს. მტერმა ძლივს მოასწრო თავის შველა: სერკეპრის ხიდით მახლობელ მდინარეზე გადავიდა და მიიმალა ფრონტის სხვა ადგილებზე ცვლილება არ მომხდარა.

ადანის ფრონტი

ხაჩინში ალყა შემორტყმულმა მტერმა ყოველმხრივ შეტევა დაიწყო. ხელში იგდო რამოდენიმე ურემი და ჩვენი სანოვაგე. მაგრამ ჩვენ ხელმეორეთ შეუტიეთ და ძველი მდგომარეობა ხელმეორეთ აღვადგინეთ. 25 სექტემბერს აინტაბის დასავლეთით ჩვენ მოგვიხდა შეტაკება სომხებისაგან და ფრანგებისგან შემდგარ ჯარებთან. მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ ჩვენ მტერი დავამარცხეთ და დიდი დავლა დავატოვებიეთ.

უკანასკნელი ცნობები

სამხ. ოპერატ. 31 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოლენსოვეტის“ საველე შტაბისა.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი.

პოლონეთის ფრონტი.

სლუცკის რაიონში ბრძოლები გრძელდება.

ლუნინეცკის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ნოვოგრად-ვოლინის რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევას განაგრძობენ.

სტაროკანსტანტინოვის მიმართულებით დაიწყო ბრძოლები პროსკუროვის რკინის გზისა და დნესტრის შუა.

სამხრეთის ფრონტი

ბერისლავის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მტრის იერიშები მოიგერია და წამოიყვანა ტყვეები, ხელთ იგდო დიდი დავლა. წითელ არმიის ზარბაზნებმა იტრის 4 ტანკი—გაანადგურა.

ნიკოპოლის რაიონში ჩვენმა ცხენოსნებმა მდ. ბუზულუკზე გაცხარებულ ბრძოლაში დაამარცხა მოწინააღმდეგე, დაედევნა და უწესრიგოთ გააბნია. ჩვენებს დარჩათ მტრის ზარბაზნები და ჯავშნიანი ავტომობილები. მოწინააღმდეგე დნეპრის მარცხენა ნაპირზე იხევს. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები და სხვა სამხედრო მასალები.

ერთა ლიგას არავინ ენდობა

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. საფრანგეთის მისიას დამცინავი სტვენით შეხვდენ ვილნოში. კოვნოში და ვილნოში მოეწყო დემონსტრაციები, რომლებიც ანტანტისადმი ზიზღს და მტრობას გამოთქვამდა.

სემიონოვის გაკოტრება.

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. პარტიზანული რაზმები, რომლებიც ჩიტის სამხრეთით ამოძრავდენ სემიონოვის წინააღმდეგ, მუშებში და გლეხებში სრულს თანაგრძნობას პოულობენ. რაზმებმა ბევრი სოფლები დაიჭირეს. თეთრგვარდიელთა უკანასკნელი ყავარჯენიდამხობა სულმოკლე დროის საკითხია.

პოლონეთი საფრანგეთს სრულიად ემორჩილება.

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. სხვა და სხვა გაზეთების თანამშრომლებს პილსუდსკიმ განუცხადა, რომ აუცილებელია საფრანგეთის ნებას სრულიად დავემორჩილდეთო.

მუქარა ინგლისისადმი.

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც იმუქრება, რომ შავსა და ბალტიის ზღვებში ჩვენი გემები საბჭოთა რუსეთის წყალქვეშა ნავებს გაანადგურებენო. ამ მუქარაზე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებსა კრასინს კერზონს აცნობა, რომ რუსეთი უფრთხის ინგლისთან ომს და ჩვენი წყალ ქვეშა ნავები ჩვენი საზღვრების დასაცავათ და სავარჯიშოთ იქნებიან ზღვაში. საზღვარ გარეთულ სამხედრო გემებისათვის უმჯობესია არ გამოჩდენ იქ, სადაც მათი სამფლობელო არ არისო.

ახალი ამბები

საბჭოთა რუსეთის წევრის დატუსაღება ბათუმში. ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარმა გამოსცა შემდეგი ბრძანება: „ქ. ბათუმის მესამე კომისარიატის კომისარის თანაშემწემ დაატუსაღა საგარეო ვაჭრობის რწმუნებული, საბჭოთა მისიის წევრი, მოქალაქე მონესი, რომლის შესახებ მას არ ქონდა არც ორდერი და არც სხვა რაიმე სერიოზული საბუთი. მოქალაქის უფლების ასეთი უხეში დარღვევისათვის და განსაკუთრებით იმ პირისა, რომელიც სარგებლობს ექსტერიტორიალური უფლებებით, ვბრძანებ აღნიშნული თანაშემწე კომისარისა გადარიცხულ იქნას უფროს მილიციონერათ და ეს სასჯელი შეტანილ იქნას ფორმულიარში. მომავალში კი სასტიკი ყურადღება მიექცეს მილიციის მოსამსახურეების მოქმედებას, რათა სასტიკათ დაცულ იქნას ინსტრუქცია“. (ს.).

— **როგორაა დაცული ნეიტრალიტეტი.** 14 ოქტომბერს სალამოს ბათუმის ნავთსადგურში მოვიდა ორი ნაღმოსანი: ერთი ინგლისის და ერთიც საფრანგეთის.

— **სიძვირის ზრდა.** ვაჭრობა-მრეწველობის პალატის მიერ აღნიშნულია 19 ოქტომბრის შემდეგი საბაზრო ფასები სანოვაგეზე: ძროხის ხორცი 80—90 მან. გირვანქა; ცხვრის ხორცი—110 მ.; ბატკანი—120 მან.; ქათამი 500 მან.; ინდოური—700 მან.; ბატი—600 მან.; იხვი—260 მან.; ხიზილალა—1200 მან.; ნედლი თევზი—280 მან.; კარაქი—450 მან.; ერბო—500 მან.; საქმელი ზეთი—500 მან.; ყველი—230—280 მან.; თეთრი ფქვილი 5,600 მან.; ადგილობრივი ფქვილი 3,200 მან.; სიმინდის ფქვილი—1,800 მან.; ხორბალი 2,50„ მან.; სიმინდი—900 მან.; წითელი ლობიო—1,200 მან.; თეთრი ლობიო—1,300 მან.; სპარსეთის ბრინჯი—9,500 მან.; ჩინური ჩაი—700 მან.; ცეილონის—550 მან.; თაფლი—280 მან.; კომბოსტო—400 მან. თხილი—2,000 მან.

— **სამხედრო ბეგრის შესახებ.** გენერალური შტაბი აცხადებს, რომ თანახმად 1919 წლის 31 ივლისის შეიარაღებულ ძალთა და სამხედრო ბეგრის კანონისა, 1900 წელში დაბადებულთა მორიგი გაწვევა ჯარში დაიწყება ამა წლის 15 ნოემბერს. რესპუბლიკის ყველა 1900 წელში დაბადებულნი მოქალაქენი გარდა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ამ ჟამად უკვე მსახურებენ ჯარში და აგრეთვე მათზე უფროსებიც, რომლებსაც შარშან ვადა გაუდიდდათ, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ იმ მაზრის სამხედრო აღრიცხვის განყოფილებაში, სადაც ეს შეტანილია გამწვევ სიებში. აგრეთვე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სამხედრო ვალდებულნიც რომლებიც მიზეზების გამო არ არიან შეტანილი გაწვევის სიებში. გამოცხადების დღე იქნება გამოქვეყნებული თავის დროზე სამაზრო ერობათა და თბილისის ქალაქის გამგეობის მიერ. ნებადართულია გამოცხადება უახლოეს სამხედრო აღრიცხვის განყოფილებაშიც დროებითი საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, მაგრამ, ამ შემთხვევაში ახალ გაწვეულმა არა უგვიანეს 1 ნოემბრისა წარუდგინოს იმ სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს, სადაც მას სურს გამოცხადება: 1) ამონაწერი თავის თავზე გამწვევის სიიდან და 2) პირადობის მოწმობა თავის სურათით.

— **ბეჭდითი ბიურო** რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანი წარმომადგენლობას გამოსაცხადებლათ დაავალეს, რომ თბილისის გაზეთებში მოთავსებული ცნობები, ვითომ ამხ. ლეგრასს სომხეთის მთავრობისათვის წითელი ჯარების ოსმალეთში გაშვების მოთხოვნის ულტიმატუმი წაეყენებიოს და სევრის ხელშეკრულებისათვის უარი ეყოს, სინამდვილეს არ შეეფერება.

რუსეთსა და სომხეთს შორის ზავის შესაკრავათ ქ. ერევანში ამ ჟამათ ამხ. ლეგრანი აწარმოებს მოლაპარაკებას, რომელიც სასურველათ მიმდინარეობს. მოლაპარაკება მალე დამთავრდება და ლეგრანი ერევანიდან ბაქოში წავა.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო, გააგრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზ. «ახ. კომუნისტი».

სიტყვა და საქმე

საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პარტია—მენშევიკები ამაყობენ მით, რომ რესპუბლიკაში მათ დაამყარეს უფლებრივი წესწყობილება. ამ პარტიის მმართველი წრეები, მისი პროპაგანდისტ-აგიტატორები სიტყვით და პრესის საშვალებით კრებებზედ, მიტინგებზედ და გაზეთებში გამუდმებით იმეორებენ, რომ საქართველო წარმოადგენს ოაზისს, სადაც სხვა მრავალ ბედნიერებასთან ერთათ განხორციელებულია მოქალაქის სრული ხელშეუხებლობა. ჩვენ თავიდან ვამბობდით, რომ ასეთი მათი ღაღადისი სინამდვილეს არ შეეფერება, რომ იგი თვალთმაქცობაა და გამოგონილია მშრომელთა მოსატყუებლათ. ჩვენ წამოვაყენეთ დასაბუთებული და შეურყეველი დებულება, რომ ქართველ მენშევიკების საშინაო პოლიტიკის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ერთის მხრით გააფთრებული ბრძოლა პროლეტარულ რევოლიუციასთან, სასტიკი დევნა ამ რევოლიუციის მოციქულთა და მეორეს მხრით ძმური კავშირი და სოლიდარობა კონტრრევოლიუციონურ კლასებთან და მის იდეოლოგებთან. ჩვენს გაზეთში მოყვანილ ურიცხვი მაგალითებით ვამტკიცებდით, რომ მოქალაქობრივი თავისუფლება საქართველოს რესპუბლიკაში არსებობს მხოლოდ თვით მენშევიკებისათვის და მათი მოკავშირე პარტიებისთვის, რომ იგი არ არსებობს კომუნისტურ პარტიისათვის, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია სახელმწიფოს მთელი რეპრესიული აპპარატი, და განუსაზღვრელი ადმინისტრატიული თვითნებობა; ამით ვცდილობდით მოტყუებულ მკითხველთათვის თვალი აგვეხილა და დაგვენახებინა, რომ მმართველი პარტიის სიტყვა არ ეთანხმება მის მიერ ჩადენილ საქმეებს. აქამდის თუ ადმინისტრატიულ თვითნებობას დამახასიათებელი მაგალითები კომუნისტების დევნაში უხვად მოიძებნებოდა, ეხლა შეგვიძლია ასეთი მაგალითი კონტრრევოლიუციონურ კლასის ცხოვრებიდანაც აღვნიშნოთ. ამ დღეებში მმართველი პარტია ნაციონალ-დემოკრატებსაც გადასწვდა და ერთი მათი ბელადთაგანი —კ. თუმანიშვილი ადმინისტრატიული წესით ექვსი თვით ციხეში ჩასვა. ციხეში ჩასვა არა მშრომელ-კლასის შევიწროვება ექსპლოატაციისათვის, არა მუშებისა და გლეხების დაჩაგვრისათვის არამედ მთავრობის თავმჯდომარის სიტყვიერათ შეურაცხყოფისათვის.

„სოციალისტებმა“ ძალა-უფლება ხელში აიღეს და მის სოციალისტურ აღმშენებლობის მაგივრათ ბურჟუაზიული სახელმწიფოს შენება დაიწყეს. ამით რასაკვირველია, ისინი სოციალიზმის რენეგატები გახდენ და მარქსის მოძღვრობას სამუდამოთ ზურგი უქვენეს. მაგრამ ბურჟუაზიული დემოკრატიზმის დამყარებაშიაც უნარს ვერ იჩენენ და წამდაუწუმ ბორძიკობენ. მენშევიკების განსწავლულ პოლიტიკოსებს ეცოდინებათ ალბათ, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკების ძირითადი კანონების ძალით პრეზიდენტი მხოლოთ პირველ მოქალაქეთ არის აღიარებული; კერძო უფლებრივ სფეროში იგი სხვა მოქალაქებთან შედარებით არავითარი უპირატესობით მოსილი არ არის. აქედან გამომდინარეობს ის საერთო ყველა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკებისათვის კაკონი, რომ სიტყვით შეურაცმყოფელი, ვისაც არ უნდა შეეხებოდეს ეს შეურაცხყოფა—უბრალოა იგი თუ პირველ მოქალაქე ისჯება სასამართლოს წესით; ასეთ დანაშაულის ჩადენისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯა იქ, იმ რესპუბლიკებში აღვირ-აშვებულ თვით-ნებობათ ჩაითვლებოდა.

ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჩვენ ეს შემთხვევა აღვნიშნეთ არა იმისთვის, რომ ბბ. თუმანიშვილებს გამოვექომაგოთ; ისინი ჩვენი კლასობრივი მტრებია და მათთან ბრძოლა თანახმათ რევოლიუციონურ უფლება-შეგნების მოთხოვნილებისა ჩვენს მოვალეობის მოთხოვნილებას შეადგენს.

ჩვენ ეს შემთვევა აღვნიშნეთ იმისთვის, რომ მეათას-ერთჯერ გამოვავკარავოთ მენშევიკების ცრუ ლაზღანდისი ჩვენში უფლებრივ წესწყობილების არსებობის შესახებ. დეე იცოდენ მუშებმა და გლეხებმა, რომ მენშევიკები სტყუიან, როცა ისინი ლაპარაკობენ და სწერენ, რომ საქართველოში პიროვნების ხელ-შეუხლებლობა უზრუნველყოფილია.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

ქ. ფოთი

13 ოქტომბერს შესდგა ფოთის კომიტეტის კრება, დღიურ წესრიგში ედგა შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება პრეზიდიუმის. 2. მოხსენება ადგილებიდან. 3. ორგანიზაციულ კითხვები. 4. ლიტერატურის გარშემო. 5. სპარტაკელების ორგანიზაცია. 6. ხარჯების განხილვა. 7. ლეგალიზაცია და დაპატიმრებული ამხანაგების. 1. პრეზიდიუმის მოხსენება კრებამ მოისმინა და მიიღო ცნობათ. 2. ადგილებიდან მოხსენებებით გამოირკვა, რომ სულიერი განწყობილება, როგორც პარტიის წევრებში, აგრეთვე მუშათა ფართო მასებში კარგია. შექმნილი უკიდურესი ეკონომიური-პოლიტიკურ მწვავე მდგომიარეობა ინსტიქტურათ მიუთითებენ მუშებს გამოსავალ გზაზე, რომელსაც მხოლოდ კომუნისტურ პარტიაში ხედავენ. უკმაყოფილემა და აღშფოთება მუშებში დიდი სისწრაფით იზრდება მართველი პარტიის აშკარა კავშირის გამო ყირიმის და სომხეთის კონტრევოლიუციასთან.

მესამე კითხვის შესახებ კრებამ იმსჯელა და დაადგინა: სისტემატიურათ მოწყობილი იქნას იაჩეიკების კრებები, ლეგალურ პირობებში და სასტიკათ იქმნას დაცული წესდება კრებაზე წევრის დაუსწრებლობის წინააღმდეგ.

მეოთხე კითხვის შესახებ კრებამ საგალდებულოთ გაუხადა ყველა პარტიის წევრს გაზეთის გამოწერა და ყველა ახალ გამოცემული წიგნების შეძენა. მეხუთე, კითხვის შესახებ კრება მოუწოდებს ფოთის ახალგაზრდა მუშა-გლეხებს და პროლეტარულ ინტელიგენციას შეკრან ახალ-გაზრდა სპარტაკელებთა მჭიდრო კავშირი და დაუკავშირდეს საქართველოს სპარტაკელების ცენტრალურ ორგანიზაციას. კომიტეტი აღუთქვამს მათ იდეიურ დახმარებას.

მეექვსე, კითხვის შესახებ, კრებამ განიხილა აგვისტოს ხარჯები და დაამტკიცა.

მეშვიდე კითხვის შესახებ, კრებამ იმსჯელა რა ზეის ძალით მოპოვებულ ლეგალიზაციაზე, რომელიც ჩვენ პარტიას ოდნავათაც არ დაურღვევია, ხოლო მენშევიკებმა კი ამ მხრივ სრული იდეიური სიკოტრე გამოიჩინეს, რასაც ჩვენი საუკეთესო ამხანაგების, სრულიად უსაბუთოდ, დაპატიმრება მოყვა, რომლებმაც ამას წინათ ოთხი დღე იშიმშილეს. მხოლოდ იმიტომ, რომ ღირსებოდენ ბრალდებას და გასამართლებას კანონიერ წესით (თუ ასეთი არსებობს „აზიის შვეიცარიაში“ „დემოკრატიულ“ საქართველოში), რაც დღემდინ არ არის სისრულეში მოყვანილი, მიუხედავათ მენშევიკების დაჰირებისა: ზოგს გაგანთავისუფლებთ, ზოგს გადაგასახლებთო და ზოგს გაგასამართლებთო, ხოლო სინამდვილეში კი თითო წელიწადი ადმინისტრატიულათ მიუსაჯეს. გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: სასტიკ პროტესტს უცხადებთ „სოციალისტურ“ მთავრობას დატუსაღებულ ამხანაგებზე ასეთი უხეში ძალმომრეობისათვის; პიროვნება სტყუოდეს კიდევ მოსათმენია, ხოლო როდესაც სტყუის მთელი მართველი პარტია ეს ზიზღს და აღშფოთებას იწვევს ჩვენში.

კრების მონდობილობით **პრეზიდიუმი.**

პროტესტი

საქ. კომ. პარტიის ჩოხატაურის კომიტეტმა პარტიის წევრებთან ერთათ მოისმინა რა სომხეთის დაშნაკელთა მთავრობის მხეცური მოქმედება, რაიც გამოიხატება თავდადებული მუშათა და გლეხთა თავისუფლებისათვის შებრძოლ ამხ. კომუნისტების დახვრეტაში, სასტიკ პროცესტს უცხადებს მუხანათ დაშნაკელთა მთავრობას და გამოსთქვამს ზიზღს მათ წინააღმდეგ ასეთი ვერაგული მოქმედებისათვის; მოვაგონებთ დროებით გაბატონებულ მთავრობას, რომ შორს არაა ის დრო, როდესაც დაამხობს მუშათა და გლეხთა თავდადებული პარტია და სასტიკ პასუხს მოსთხოვენ მათ.

ორგ. მონდობილობით **ამხანაგი.**

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲨᲘ.

აფთიაქში მომუშავეთა ცხოვრებიდან.

აფთიაქში მომუშავეთა კავშირი სრულ ნებივრობას მიეცა ამ ბოლო ხანში. მენშევიკ-ფედერალისტების -ნეტარებას ვერ გაუწევს ვერავინ ანგარიშს და მგონი, არც ერთ კავშირის გამგეობის წევრსაც არ სურს გაიგოს, რაშია საქმე და რა ხდება მის ცხოვრებაში. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენც გვყავს კავშირის გამგეობა, სადაც თავმჯდომარეობს ფედერალისტი ბერიძე „გამომხატველი ნება-ყოფის და დამცველი აფთიაქში მომუშავეთა ინტერესების“. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ „ბედნიერ“ საქართველოში კლასობრივი ბრძოლა დაცულია ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საწინააღმდეგოთ პირდაპირ ჟანდარმული წესებია შემოღებული. მუშამ თუ დასძრა ენა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ის მაშინვე ინათლება, როგორც სახელმწიფოს მტერი და ილაგება კიდევაც. მას მერე, რაც კავშირს მოსწყდა საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები, თავისუფალ მეფობის ფრთები აისხეს მენშევიკ-ფედერალისტებმა, და დავრჩით უკიდურეს მდგომარეობაში, როგორც ეკონომიურათ, ისე პოლიტიკურათ. ბატონ ჩხენკელმაც იგრძნო ეს მდგომარეობა და თამამათ იწყო სიარული ჩვენს სხდომებზე და ხმა-ტკბილათ აპიკეპიკდა თავის მოძმეებთან. დღესაც გამოურკვეველია წევრებთათვის, რა უნდა მოელოდეს ფარმაცევტების ბედს და რითი უნდა გათავდეს მათი ლოდინი. ამას წინათ კავშირმა მოახდინა საზოგადო კრება, სადაც იყო გარჩეული ეკონომიური საკითხი და მიღებულ იქმნა ერთხმათ, რომ დაუყოვნებლივ მოეთხოვოს სატარიფო პალატას, რომ გაუმჯობესებულ იქმნას ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა და თუ ვინიცობაა უარით გვიპასუხეს ამ შემთხვევაში გადადის კავშირი თავისი უკანასკნელი ზომებზე და აცხადებს გაფიცვას. მაგრამ ჩვენ თავიდანვე ვიცოდით რა ნაყოფს მოიტანდა ჩვენი მოთხოვნილებები „სოციალისტურ სახელმწიფოში“. სატარიფო პალატამ არც ინება, რომ განეხილა ჩვენი მოთხოვნილება და ქაღალდი უკანვე მოგვახალა. ამის შემდეგ ჩვენ დაგვრჩენოდა ჩვენი იარაღი გვეხმარა თანახმად საზოგადო კრების დადგენისა, მაგრამ ამ ტკივილს მაშინვე მიუხვთა სპეკულიანტი ბერიძე და სათანადო წამალიც გამოუწერა, მან მოახვია საზოგადო კრებას თავზე თავისი რეზოლიუცია, რითაც მოითხოვდა მოთმენას და ცნობების მოკრეფა სხვა და სხვა კავშირებში, სადაც გაიგებდით მათ აზრს ეკონომიური საკითხზე. ამ გვარათ იქნა ჩაფუჩეჩებული მეორე საზოგადო კრებაც განვლო ხანმა, და დაინიშნა მესამე საზოგადო კრება სადაც გაგვაცნეს თბილისის „პროლეტარიატის“ აზრი ეკონომიური საკითხზე.

როდესაც ამან არ დააკმაყოფილა საზოგადო კრება და ითხოვენ ზომები მიეღოთ, ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ისევ ბ-ნ ბერიძემ გამოსძებნა. აფრინეს დელეგაცია თხოვნით და ხვეწნით მთავრობის თავმჯდომარესთან, რომ მან გვიჩვენოს კრიტიკულ მდგომარეობიდან, მაგრამ ბ ნ მთავრობის თავმჯდომარემაც თუ დააკმაყოფილა ჩვენი დელეგაცია, არცკი მიიღოთ ინტერესი. დავრჩით ამ ფარულ მდგომარეობაში და დღესაც ამზადებს ბ ნ ბერიძე თავის სავაჭრო-სახლში წამლებს რომ განკურნოს აფთიაქში მომუშავეები, რომ ისინი არ მიიყვანოს გაფიცვამდე და რაიმე არ ავნოს მის საყვარელ მშვენიერ საქართველოს. დღესაც გამოურკვეველია ეკონომიური საკითხი. და თვით წევრებიც მიეცენ უიმედობას მათ დაკარგეს ყოველი იმედი. ასეთია მდგომარეობა ფორმაცევტთა კავშირში, მთავრობაშიდაც გაუგიათ, რომ ძველი რევოლიუციონური კავშირი დღეს დაჭკუიანებულა, გადემოკრატებულა.. ბ-ნ ტრეიმანიც დღეიდან ფორმაცევტებს „შკურნიკებს“ აღარ უწოდებს. ეხლა ვეკითხები თვით აფთიაქში მომუშავეებს როდემდი უნდათ ასე ყოფნა? ნუ თუ ბ ნ ბერიძის ერბოიან საჭმელებმა მათაც გაუძღო მშიერი კუჭი? მოთმენასაც აქვს საზღვარი...

მაიორანი.

საზღვარ-გარეთ

ინდუსტრიალურ მუშათა კავშირი. (I. V. V.)

ევროპის მუშების ფართო წრეები და კერძოთ რუსეთის პროლეტარიატი ნაკლებათ იცნობს სინდიკალისტების მოძრაობას ამერიკაში. რუსეთის ანარქისტების მეოხებით „მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშებზე“ ვრცელდებოდა აზრი, როგორც ანარქო-სინდიკალიზმის მიმდევრებზე, რომლებისთვის რევოლიუციონური მარქსიზმის ჩარჩოები ვიწრო გამოდგა. ნამდვილათ კი ამ კავშირის უმრავლესობა ისეა დაშორებული ანარქო-სინდიკალიზმზე, როგორც კომუნიზმზე. ამაში დასარწმუნებლათ ჩვენ უნდა შეეხოთ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პროფესიონალურ მოძრაობის განვითარების ეტაპებს.

1881 წ. დაქსაქსული სხვა და სხვა კავშირებში მუშათა პატარა კავშირები გაეროიანდენ „შრომის რაინდთა კავშირში“ (Knigts of labor) ამ კავშირის განყოფილებებში ადგილობრივ შედიოდენ სხვა და სხვა პროფესიის და წარმოების მუშები.

განსაზღვრული პოლიტიკური ფიზიონომია „შრომის რაინდთა კავშირს“ არ ქონდა.

1886 წელს „შრომის რაინდთა კავშირის“ ადგილს იკავებს „ამერიკის შრომის ფედერაცია“, (American federation labor) აგებული მუშების ვიწრო ცეხებათ გაერთიანების საფუძველზე. ყოველ წარმოებაში ჩნდება მრავალი წვრილი ცეხის კავშირები, რომელნიც გაერთიანებული იყვენ არა საწარმავო დარგის მიხედვით არამედ ცეხისდამიხედვით სხვა წარმოების ერთი პროფესიის კავშირებთან. მთელი მხარეს გაერთიანებული ცეხები შეკავშირებული არიან ფედერატიულათ, როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ. კერძო წარმოებაში კი ცეხებს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. ამ მიზეზით ხშირია ასეთი მოვლენა: მაგ. გაიფიცენ დამზადებული ტანისამოსის ქარხნის გამომჭრელები; ამავე დროს ავტონომიურ ცეხის თერძები და დაუმთავრებელნი სარგებლობენ გამომჭრელების მიერ დამზადებული მასალით და დამშვიდებული განაგრძნობენ მუშაობას. რასაკვირველია ასეთი განკერძოვება მუშების მწარმოებლისათვის ხელსაყრელია, და ის სარგებლობს ამით მუშებთან საბრძოლველათ. ამერიკულ „შრომის ფედერაციის“ ზრდის პროცესში თანდათან გარკვეულათ ჩნდება ცეხის პროფესიონალიზმის მახინჯი შედეგები. მუშის ყველა ინტერესები შემოფარგლულია ცეხის ვიწრო ჩარჩოებით, რაც ცეხს გარეშეა—მის თვალთახედვის გარეშეა. ჩნდება „შრომის არისტოკრატია“ ე. ი. კარჩაკეტილ კვალიფიციურ მუშების ცეხები, რომლებშიაც შესვლა ახალ ელემენტებისთვის გაძნელებულია საწევრო გადასახადის გაძვირებით (ზოგიერთ კავშირში 600 და მეტი დოლარი). კავშირების დასმული ატმოსფერა ბადებს ბიუროკრატიას. ერთი ნაბიჯი კიდევ ამ გზაზე და ამერიკანულ შრომის ფედერაციის მეთაურნი მიყიდიან მუშების ინტერესებს კაპიტალისტებს. ამ პირობებში პროლეტარიატის საერთო კლასიური ინტერესები კავშირის წევრების შეგნებაში დახშულია. მისთვის გაუგებარია მჭიდრო კავშირი ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბრძოლას შორის. შრომის ფედერაციის ორგანოები კი, რომელნიც ტრესტების სააგენტოებათ გადაიქცენ ხმა მაღლა გაჰყვირიან: „კავშირები პოლიტიკის გარეშე უნდა იყვენო“.

ამისდამიუხედავათ ფედერაციაში თავი იჩინა და თანდათან ძლიერდება ოპოზიცია, როგორც ცეხების კარჩაკეტილობის წინააღმდეგ, აგრეთვე ლოზუნგი „პოლიტიკის გარეშე“-სა წინააღმდეგ. მაგრამ ოპოზიციის ცდამ, კავშირების რეორგანიზაციის მოხდენა, ში მუშაობით, ამაოთ ჩაიარა, მისი ხელმძღვანელების წინდაუხედავი ტაქტიკის და ფედერაციის რეაქციონური ძალების მჭიდროობის მეოხებით.

1905 წ., როდესაც ფედერაციის მიერ გაერთიანებულ მუშების რიცხვი აღწევს 1,494,300 კაცამდე, ოპოზიცია აშკარათ გამოეთიშა მას. დგება მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშათა კავშირი“ (Industrial Vorkers of the Vorld), რომლის ორგანიზატორები არიან გამოჩენილი ამხანაგები—დებსი, გეიკუდი დელიოპი, ვაგარპი და სხ. ახალი კავშირი შესდგა სხვა და სხვა ელემენტებისაგან: სოციალისტების ვერდით იდგენ სხვა და სხვა მიმართულების ანარქისტები; იყვენ სრულიათ უპარტიო მუშები, რომელნიც ინსტიქტიურათ მიილტვოდენ რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ. ახალ ორგანიზაციაში ამ უკანასკნელებმა შეადგინეს უმრავლესობა.

ა. სტეკლიცკი.

(შემდეგი იქნება)

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

ხიდისთავი.

„ერთობის“ 220 ნუმერში მეტად საყურადღებო წერილია მოთავსებული. ვინმე „რადიკალი“ სწერს; რადგანაც ს. ბუკნარი გამოგვეყო და ცალკე დამოუკიდებლათ თემის შექმნა მოინდომა, ამ საქმის ინიციატორები ბ. ბ. გოგიბერიძე და ს. კალანდაძე პარტიიდან გაძევა ხიდისთავის კოლეკტივმაო. იქვე სწერს: ვინაიდგან ს. ბუკნარის იაჩეიკა არ იზიარებს ხიდისთავის კოლეკტივის დადგენილებას ზემო აღნიშნული პირები პარტიიდან გადაყენების შესახებ, ხსენებული იაჩეიკაც გადაყენებულია პარტიიდგანო.

ეს ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო! რა აქვთ მათ თქვენთან საერთო, ბატონებო! ყველა მშრომელი ღარიბი ღატაკი და გაყვლეფილი, ვინც თავის-თავად არ გაიქცევა თქვენი პარტიიდან, გააძევებთ რა თქმა უნდა, როგორც „ბუნტოვშჩიკს“. ან რას წაგებთ; პარტია მაინც საკმაოთ „ძლიერი“ დარჩება მეორე „ბილდის“ ვაჭრებით, ჩარჩი, სპეკულიანტებით, რომლებთანაც თქვენ საუცხოოთ ხართ შეხმატკბილებულნი, როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ, ზნეობრივათ და სხვა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია „გადაყენებული“ ამ ჟამად გლეხების მდგომარეობა.

როგორც წინა წერილში აღვნიშნავდით, ხიდისთავის თემს გარდა გაასკეცებული გადასახადების გაწერა—აკრეფისა არაფერი არ გაუკეთებია თავის მოღვაწეობის ერთი წლის განმავლობაში. და აი სწორეთ ამ უთავბოლო გადასახადებით ტყავის ძრობამ მუქთა მჭამელა უპასუხისმგებლო პირების მიერ აიძულა ს. ბუკნარის გლეხობა გამოყოფოდა ერთხელ და სამუდამოთ ამ ბოროტების ბუდეს.

მაგრამ—შველის მათ ეს? განა იხსნის მათ უმწეო მდგომარეობიდან გამოყოფილი და დამოუკიდებელი თემი? სრულიადაც ვერა!

ს. ბუკნარის გლეხობას უნდა ახსოვდეს, რომ თემი, სანამ ის მენშევიკების ხელშია, წვრილი ერთეულიდან იქნება ის შემდგარი თუ მსხვილიდან მხოლოდ და მხოლოდ ყვლეფის იარაღია და სხვა არაფერი. განა სულ ერთი არ არის, გინდა ზღვას დაუხჩვივარ და გინდა ნამს.

საქმეს ვერაფერს ვერ უშველის გამოყოფა და კუთხური შენ-ჩემობა; საჭიროა მტკიცე პროლეტარული ტაქტიკის წარმოება და რაც უფრო დიდ ფარგლებში ექნება მას ადგილი, მით უკეთესია.

პროლეტარი.

ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ ᲑᲐᲨᲘ-ᲑᲣᲨᲣᲙᲔᲑᲘ.

„დემოკრატიულ“ საქართველოს ფარგლებში ბევრი რამ უსამართლო და საზიზღარი ამბები ხდება. ეს ყველამ იცის. იციან ეს თვით მენშევიკებმაც. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ სრულიათ მათთვის ასეთი შეუმჩნეველათ ჩაივლის შემდეგი საზიზღრობის გამოქვეყნება, რომელსაც ადგილი ჰქონდა სექტემბრის 7 ს სოფელ ჩხუტელში.

ამ სოფლის გლეხი ამხ. თედორე გუგავა მთავრობის მიერ დატუსაღებულ იქნა კომუნისტობისათვის და მოთავსებული ქუთაისის საგუბერნიო ციხეში, საიდანაც იგი ოთხი თვის ჯდომის შემდეგ გაანთავისუფლეს.

სოფელში მას დარჩა მარტოხელა ცოლი. და აი 7 სექტემბერს, ღამით—მას თავს დაესხა ორი ადგილობრივი გვარდიელი. კ. მურცვალაძე და კ. კვირკაშვილი. გასაგებია, თუ რა „კეთილი“ და „პატიოსანი“ განზრახვებით ხელმძღვანელობდენ ეს, ლეჩხუმში „რევოლიუციის“ დამცველი, ვაჟბატონები. ჩაამტვრიეს ფანჯრებში მინები; კარებსაც დაუწყეს მტვრევა: მოითხოვდენ: „სახლში შეგვიშვითო“. შეშინებულ ქალის ყვირილზე ახმაურდენ მეზობლები, „ტარიელ მკლავაძეებმაც“ შეატყვეს რა, რომ საქმე ცუდათ მიდის—ქურდულად გაიპარენ. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ვაჟბატონები ადმინისტრაციის მიერ იყვენ დასჯილნი... სრულიადაც არა. მილიციის უფროსს სიცილადაც არ ეყო ეს ამბავი. საქართველო ხომ „დემოკრატიული“ რესპუბლიკაა განუსაზღვრელი „თავისუფლებით“. რა უყოთ, თუ არსებულ თავისუფლებას ერთი პატარა „თავისუფლებაც“ დაემატა: „თავისუფლება“ გადასახლებულ და დაპატიმრებულ კომუნისტების ცოლების გაუპატიურებისა. ძალა-უფლება მათ ხელშია და შესაფერად იყენებენ ამას მენშევიკების რაინდები!

ლეჩხუმელი კომუნისტი.

ᲤᲝᲜᲓᲘ

მივიღეთ ქუთაისის კომუნისტურ ორგანიზაციის მე-5 იაჩეიკისაგან გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ 450 მან.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135. ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ „ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ“ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲜᲩᲘᲡ Ქ. № 3.